



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
თ ე რ ჯ ო ლ ა  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 62

04/06/2018

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ივნისის თვის მორიგი სხდომის  
მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი ნაწილისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად **ვბრძანებ**:

**მუხლი 1.** მოწვეულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ივნისის თვის მორიგი სხდომა 2018 წლის 4 ივნისს 11:00 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის მორიგი  
სხდომის დღის წესრიგი:**

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.:/თ.ქოჩიაშვილი/  
თანამომხს:/ა.ურიადმყოფელი/

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N46 104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს.:/თ.ქოჩიაშვილი/  
თანამომხს:/ა.ურიადმყოფელი/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 8 მაისის N 45/2856 წერილი, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.36.038) შენობის პირველ სართულზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის, მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 1 (ერთი) წლის ვადით გადაცემის შესახებ).

მომხს: /გ.ლილუაშვილი/  
თანამომხს./ნ.ფანჭულიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 აპრილის N 45/2739 წერილი, სოფელ ჩხარში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 184.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 კვ.მ. შენობა-ნაგებობის პრივატიზების შესახებ (ჩხარის ყოფილი საქვაბე მიწის ნაკვეთით (ს/კ N33.15.32.139 ))

მომხს: /გ.ლილუაშვილი/  
თანამომხს./ნ.ფანჭულიძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 მაისის N 45/3221 წერილი, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის, 77 კვ.მ.ის პრივატიზების შესახებ)

მომხს: /გ.ლილუაშვილი/  
თანამომხს./ნ.ფანჭულიძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში ( მერის 2018 წლის 31 მაისის N 45/3227 წერილი, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის შესახებ)


მომხს: /ბ.სოფრომაძე/

**მუხლი 2.** დაევალოს საკრებულოს აპარატს საკრებულოს წევრთა ინფორმირება საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ, სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის თაობაზე.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო